

შპს „სანშაინ“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით2

სრული შემოსავლის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით..... 3

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრისთვის 4

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება..... 5

სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 6

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „სანშაინ“-ის დამფუძნებლებს და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „სანშაინ“-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის-„პირობითი მოსაზრების საფუძველი“- ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „სანშაინ“-ის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძვლები

ჩვენ არ დავსწრებივართ სასაქონლო-მატერიალური მარაგების ინვენტარიზაციას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რადგან აღნიშნული თარიღი წინ უსწრებდა ჩვენი, როგორც აუდიტორებად დანიშვნის თარიღს. კომპანიის მოცულობიდან და საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე ჩვენ ვერ შევძელით ალტერნატიული აუდიტორული პროცედურების ჩატარებით მიგვეღო მტკიცებულებები სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთებთან დაკავშირებით. აღნიშნულის გამო პირობითი იყო მოსაზრება წინა წელსაც. ამ გარემოებების გამო, ჩვენ ვერ შევძელით გაგვესაზღვრა საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირებების განხორციელება სასაქონლო-მატერიალური მარაგებთან, და ასევე, სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალის ცვლილებების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსატქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობითი ანგარიშის საქმიანობის მიმოხილვის ნაწილს (მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას), რომელიც მივიღეთ აუდიტის დასკვნის თარიღამდე.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენს მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოთაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენს შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაზე, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით ავღნიშნავთ, რომ ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, აქვს თუ არა კომპანიას უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა

საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე. განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა. ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებს მომხმარებლის მიერ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე. ასს-ის მიხედვით, აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს. ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. არსებითი უზუსტობების რისკი, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით, უფრო მაღალია, ვიდრე რისკი, რომელიც გამოწვეულია შეცდომით. რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.

შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ შპს „სანშაინ“-ის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკას, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.

ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან

პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა შპს „სანშაინ“-ი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორულ დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე ან თუ განმარტებითი შენიშვნებში არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორული დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას.

მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს. განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

კომპანიის ხელმძღვანელობას, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის, შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომელსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

ამასთანავე, კომპანიის ხელმძღვანელობას წარვუდგენთ წერილობით განცხადებას, რომ ვაკმაყოფილებთ სათანადო ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და ვატყობინებთ ყოველგვარი ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც გონივრულ ფარგლებში შეიძლება ეჭვს იწვევდეს ჩვენი დამოუკიდებლობის შესახებ, და თუ შესაძლებელია წარმოვადგენთ შესაბამის გარანტიებს.

ხელმძღვანელობასთან წარდგენილ საკითხებს შორის განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განმავლობაში და შესაბამისად, სწორედ ისინი წარმოადგენს აუდიტთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებს. აღნიშნულ საკითხებს აღვწერთ აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონით ან ნორმატიული აქტით არ არის აკრძალული საკითხის საჯაროობა, ან თუ, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, გადაწყვეტთ რომ საკითხი არ უნდა აისახოს ჩვენს დასკვნაში, რადგან გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელია, რომ ამით გამოწვეული უარყოფითი შედეგები გადაჭონის ამ ინფორმაციის მიმართ საზოგადოებრივი ინტერესის სარგებელს.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა, გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობითი ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე მოიცავს თუ არა იგი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

მოსაზრება მმართველობით ანგარიშგებაზე

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია თანხვედრაშია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებასთან; და


მმართველობის ანგარიშგება მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნის შესაბამისი აუდიტის პარტნიორი არის გიორგი გაბათაშვილი.

გიორგი გაბათაშვილი SARAS-A-923705

შპს „ლიდ აუდიტი“-ს სახელით

24 ოქტომბერი 2025 წელი



შპს „სანშაინ“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ერთეულ ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

	<u>შენიშვნა</u>	<u>31/12/2024</u>	<u>31/12/2023</u>
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	12	17,450,766	13,420,560
გადახდილი ავანსები	13	72,379	28,188
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	14	707,800	673,075
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	15	137,464	55,358
წინასწარ გადახდილი გადასახადები	16	1,404,500	1,368,757
სულ მიმდინარე აქტივები		19,772,908	15,545,938
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	17	6,336,625	6,551,070
არამატერიალური აქტივები	18	3,321,819	3,368,594
აქტივი გამოყენების უფლებით	19	17,484,422	20,810,491
სულ გრძელვადიანი აქტივები		27,142,866	30,730,154
სულ აქტივები		46,915,774	46,276,092
კაპიტალი და ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	20	795,748	942,841
შრომითი საქმიანობის გასამრჯელოები	21	1,765,264	1,537,394
საგადასახადო ვალდებულებები	16	514,735	149,503
მოკლევადიანი სესხები	22	2,750,541	5,000,000
გადასახდელი დივიდენდი		517,110	4,477,110
საიჯარო ვალდებულებების მიმდინარე ნაწილი	19	4,476,332	3,968,867
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	23	55,087	46,433
სულ მიმდინარე ვალდებულებები		10,874,817	16,122,148
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	19	29,174,177	32,634,011
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		29,174,177	32,634,011
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2,000	2,000
გაუნაწილებელი მოგება		(2,482,067)	-
მიმდინარე პერიოდის მოგება/ზარალი		9,346,846	(2,482,067)
სულ საკუთარი კაპიტალი		6,866,779	(2,480,067)
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		46,915,774	46,276,092

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 24 ოქტომბერს.

დირექტორი

შპს „სანშაინ“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ერთეულ ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

	მენიშვნა	31/12/2024	31/12/2023
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	12	17,450,766	13,420,560
გადახდილი ავანსები	13	72,379	28,188
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	14	707,800	673,075
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	15	137,464	55,358
წინასწარ გადახდილი გადასახადები	16	1,404,500	1,368,757
სულ მიმდინარე აქტივები		19,772,908	15,545,938
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	17	6,336,625	6,551,070
არამატერიალური აქტივები	18	3,321,819	3,368,594
აქტივი გამოყენების უფლებით	19	17,484,422	20,810,491
სულ გრძელვადიანი აქტივები		27,142,866	30,730,154
სულ აქტივები		46,915,774	46,276,092
კაპიტალი და ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	20	795,748	942,841
შრომითი საქმიანობის გასამრჯელოები	21	1,765,264	1,537,394
საგადასახადო ვალდებულებები	16	514,735	149,503
მოკლევადიანი სესხები	22	2,750,541	5,000,000
გადასახდელი დივიდენდი		517,110	4,477,110
საიჯარო ვალდებულების მიმდინარე ნაწილი	19	4,476,332	3,968,867
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	23	55,087	46,433
სულ მიმდინარე ვალდებულებები		10,874,817	16,122,148
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	19	29,174,177	32,634,011
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		29,174,177	32,634,011
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2,000	2,000
გაუნაწილებელი მოგება		(2,482,067)	-
მიმდინარე პერიოდის მოგება/ზარალი		9,346,846	(2,482,067)
სულ საკუთარი კაპიტალი		6,866,779	(2,480,067)
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		46,915,774	46,276,092

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 24 ოქტომბერს.

დირექტორი



შპს „სანშაინ“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ერთეულ ლარში

სრული შემოსავლის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024 წელი	31 დეკემბერი 2023 წელი
შემოსავალი ძირითადი საქმიანობებიდან	6	62,205,378	40,363,121
სხვა საწარმოო შემოსავლები	6	1,096,730	824,729
სულ საოპერაციო შემოსავლები		63,302,108	41,187,850
გამოყენებული ნედლეული და მასალა	7(a)	(3,470,826)	(2,218,642)
პერსონალის დანახარჯი	7(b)	(21,578,431)	(18,512,071)
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურება	7(c)	(676,046)	(564,059)
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯი	7(d)	(282,650)	(237,073)
იჯარის ხარჯი	7 (e)	(1,417,988)	(781,272)
ტრანსპორტირების და გადაცემის ხარჯი	7(f)	(39,174)	(23,267)
სხვა საგადასახადო ხარჯები	7(g)	(6,620,666)	(4,917,292)
ცვეთა და ამორტიზაცია	7(h)	(9,058,004)	(8,994,786)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	7(i)	(3,003,058)	(2,057,877)
სულ საოპერაციო ხარჯები		(46,146,843)	(38,306,340)
მოგება ან ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან		17,155,264	2,881,510
ზარალი ძირ.საშ. და არამატერიალური აქტივებიდან		-	(99,916)
ფინანსური შემოსავლები	8	109,150	369,300
ფინანსური დანახარჯები	9	(3,029,311)	(2,992,100)
შემოსავალი დადებითი საკურსო სხვაობიდან	10	253,529	460,867
ხარჯი უარყოფითი საკურსო სხვაობიდან	10	(1,639,009)	(644,204)
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები		22,504	23,606
-		(4,283,136)	(2,882,447)
მოგება დაბეგვრამდე და განსაკუთრებულ მუხლებამდე		12,872,128	(938)
მოგების გადასახადის სარგებელი/ხარჯები წლის მოგება	11	(3,525,281)	(2,481,129)
მოგება დაბეგვრის შემდეგ		9,346,846	(2,482,067)
სხვა სრული შემოსავალი:			
მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		9,346,846	(2,482,067)

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 24 ოქტომბერს.

დირექტორი

შპს „სანშაინ“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ერთეულ ლარში

სრული შემოსავლის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024 წელი	31 დეკემბერი 2023 წელი
შემოსავალი ძირითადი საქმიანობებიდან	6	62,205,378	40,363,121
სხვა საწარმოო შემოსავლები	6	1,096,730	824,729
სულ საოპერაციო შემოსავლები		63,302,108	41,187,850
გამოყენებული ნედლეული და მასალა	7(a)	(3,470,826)	(2,218,642)
პერსონალის დანახარჯი	7(b)	(21,578,431)	(18,512,071)
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურება	7(c)	(676,046)	(564,059)
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯი	7(d)	(282,650)	(237,073)
იჯარის ხარჯი	7(e)	(1,417,988)	(781,272)
ტრანსპორტირების და გადაცემის ხარჯი	7(f)	(39,174)	(23,267)
სხვა საგადასახადო ხარჯები	7(g)	(6,620,666)	(4,917,292)
ცვთა და ამორტიზაცია	7(h)	(9,058,004)	(8,994,786)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	7(i)	(3,003,058)	(2,057,877)
სულ საოპერაციო ხარჯები		(46,146,843)	(38,306,340)
მოგება ან ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან		17,155,264	2,881,510
ზარალი ძირ.საშ. და არამატერიალური აქტივებიდან		-	(99,916)
ფინანსური შემოსავლები	8	109,150	369,300
ფინანსური დანახარჯები	9	(3,029,311)	(2,992,100)
შემოსავალი დადებითი საკურსო სხვაობიდან	10	253,529	460,867
ხარჯი უარყოფითი საკურსო სხვაობიდან	10	(1,639,009)	(644,204)
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები		22,504	23,606
		(4,283,136)	(2,882,447)
მოგება დაბეგვრამდე და განსაკუთრებულ მუხლებამდე		12,872,128	(938)
მოგების გადასახადის სარგებელი/ხარჯები წლის მოგება	11	(3,525,281)	(2,481,129)
მოგება დაბეგვრის შემდეგ		9,346,846	(2,482,067)
სხვა სრული შემოსავალი:			
მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		9,346,846	(2,482,067)

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 24 ოქტომბერს.

დირექტორი



შპს „სანშაინ“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ერთეულ ლარში

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრისთვის

თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	31/12/2024	31/12/2023
მყიდველებისა და დამკვეთებისგან მიღებული ფულადი სახსრები	63,417,413	41,500,467
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(10,167,606)	(6,131,083)
გაცემული შრომის ანაზღაურება	(15,725,513)	(14,070,686)
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	(10,358,421)	(9,452,429)
გადახდილი მოგების გადასახადი	(3,220,265)	(809,009)
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(1,175,619)	(887,268)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	<u>22,769,989</u>	<u>10,149,991</u>
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან შვილობილი საწარმოს შეძენა მისი ფულადი სახსრების გამოკლებით		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(769,467)	(510,076)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(5,100,000)	(5,100,000)
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გასვლიდან მიღებული შემოსულობანი	-	56,584
გაცემული სესხების დაბრუნება	-	7,915,500
მიღებული პროცენტები	109,150	898,318
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	<u>(5,760,317)</u>	<u>3,260,327</u>
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მოკლევადიანი სესხების აღება	4,239,500	5,000,000
მოკლევადიანი სესხების დაფარვა	(6,488,959)	(2,989,275)
მოკლევადიან სესხზე გადახდილი პროცენტები	(484,074)	(295,045)
საიჯარო ვალდებულების დაფარვა	(4,035,285)	(2,460,695)
საიჯარო ვალდებულებაზე გადახდილი პროცენტი	(2,545,237)	(2,697,055)
გადახდილი დივიდენდები	(3,762,000)	(23,083,846)
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	<u>(13,076,055)</u>	<u>(26,525,916)</u>
ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ზრდა/კლება (ნეტო)	96,589	(189,007)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	4,030,207	(13,304,605)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	13,420,560	26,725,165
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	<u>17,450,766</u>	<u>13,420,560</u>

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 24 ოქტომბერს.

დირექტორი

შპს „სანშაინ“
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 ერთეულ ლარში

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრისთვის

თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	31/12/2024	31/12/2023
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	63,417,413	41,500,467
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(10,167,606)	(6,131,083)
გაცემული შრომის ანაზღაურება	(15,725,513)	(14,070,686)
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	(10,358,421)	(9,452,429)
გადახდილი მოგების გადასახადი	(3,220,265)	(809,009)
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(1,175,619)	(887,268)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	22,769,989	10,149,991
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან შვილობილი საწარმოს შეძენა მისი ფულადი სახსრების გამოკლებით		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(769,467)	(510,076)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(5,100,000)	(5,100,000)
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გასვლიდან მიღებული შემოსულობანი	-	56,584
გაცემული სესხების დაბრუნება	-	7,915,500
მიღებული პროცენტები	109,150	898,318
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(5,760,317)	3,260,327
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მოკლევადიანი სესხების აღება	4,239,500	5,000,000
მოკლევადიანი სესხების დაფარვა	(6,488,959)	(2,989,275)
მოკლევადიან სესხზე გადახდილი პროცენტები	(484,074)	(295,045)
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	(4,035,285)	(2,460,695)
საიჯარო ვალდებულებაზე გადახდილი პროცენტი	(2,545,237)	(2,697,055)
გადახდილი დივიდენდები	(3,762,000)	(23,083,846)
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(13,076,055)	(26,525,916)
ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ზრდა/კლება (ნეტო)	96,589	(189,007)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	4,030,207	(13,304,605)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	13,420,560	26,725,165
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	17,450,766	13,420,560

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 24 ოქტომბერს.

დირექტორი



შპს „სანშაინ“
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 ერთეულ ლარში

კაპიტალის მოძრაობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ დაუფარავი ზარალი	გადაფასების რეზერვი	სულ
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,000	28,775,896	-	28,777,896
საწესდები კაპიტალის გაზრდა ან შემცირება				-
ქონების გადაფასება				-
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი		(2,482,067)		(2,482,067)
განაწილებული დივიდენდი		(28,775,896)		(28,775,896)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,000	(2,482,067)	-	(2,480,067)
საწესდები კაპიტალის გაზრდა ან შემცირება				-
ქონების გადაფასება				-
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი		9,346,846		9,346,846
განაწილებული დივიდენდი				-
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,000	6,864,779	-	6,866,779

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 24 ოქტომბერს.

დირექტორი:

შპს „სანშაინ“
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
 ერთეულ ლარში

კაპიტალის მოძრაობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ დაუფარავი ზარალი	გადაფასების რეზერვი	სულ
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,000	28,775,896	-	28,777,896
საწესდები კაპიტალის გაზრდა ან შემცირება				-
ქონების გადაფასება				-
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი		(2,482,067)		(2,482,067)
განაწილებული დივიდენდი		(28,775,896)		(28,775,896)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,000	(2,482,067)	-	(2,480,067)
საწესდები კაპიტალის გაზრდა ან შემცირება				-
ქონების გადაფასება				-
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი		9,346,846		9,346,846
განაწილებული დივიდენდი				-
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,000	6,864,779	-	6,866,779

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 24 ოქტომბერს.

დირექტორი:



შპს „სანშაინ“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ერთეულ ლარში

სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ა) ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „სანშაინ“ (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. „კომპანიის“ იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი საბურთალოს რაიონი, 26 მოედანი #1.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სათამაშო ბიზნესი. „კომპანიის“ საოპერაციო შედეგების ანალიზს ხელმძღვანელობა ახორციელებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში „ფასს“) მიხედვით მომზადებული ფინანსური ინფორმაციის საფუძველზე. 2016 წლის 11 თებერვლამდე „კომპანია“ ფუნქციონირებდა საფირმო სახელწოდებით შპს „კაზინო აჭარა“, 2016 წლის 11 თებერვალს შეეცვალა საფირმო სახელწოდება და ეწოდა შპს „სანშაინ“.

„კომპანიის“ პარტნიორები არიან “Solna Leisure Holdings Limited” (კვიპროსი) 10% წილის მფლობელი და “Gannado Worldwide S.A” (ვირჯინიის კუნძულები) 90% წილის მფლობელი. “Gannado Worldwide S.A”-ის 100% წილის მფლობელია შვედეთის მოქალაქე დავით იაკობაშვილი პ/ნ 570302-2698, შესაბამისად საბოლოო მაკონტროლებელი მხარე არის დავით იაკობაშვილი.

ფინანსური ანგარიშგება შედგენილია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მოთხოვნების დაცვით.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ნებადართულია გამოსაცემად 2025 წლის 24 ოქტომბერს.

ბ) ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში. შესაბამისად მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი ნორმები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი იყენებენ განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და განიცდიან ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოადგენს. კომპანიის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

შპს „სანშაინ“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ერთეულ ლარში

2. მომზადების საფუძვლები

a) შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით.

b) სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც კომპანიის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს. შესაბამისად, მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილია ლარში.

c) შეფასებების და მსჯელობების გამოყენება

ფასს-თან შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს მსჯელობებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სააღრიცხვო პოლიტიკაზე და წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან.

სააღრიცხვო შეფასებებისა და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგად გამოწვეული ცვლილებები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზედაც მათ ექნებათ გავლენა.

3. ფუნქციონირებადი საწარმო

ხელმძღვანელობამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ამ საკითხის განსჯისას ხელმძღვანელობამ განიხილა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, ამჟამინდელი განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა, ასევე გაანალიზა კომპანიის საქმიანობაზე მაკროეკონომიკური მოვლენების გავლენა. ხელმძღვანელობამ მიმოიხილა ბაზრის და ბიზნეს რისკები. აღნიშნული ანალიზის საფუძველზე ხელმძღვანელობას არ აქვს მოლოდინი ისეთი მნიშვნელოვანი რისკების, რომელმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს კომპანიის ფუნქციონირებადობაზე.

შპს „სანშაინ“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ერთეულ ლარში

2024 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ კომპანია მომავალშიც დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ და შეძლებს თავისი აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ა) უცხოური ვალუტა

„კომპანიის“ სამუშაო ვალუტა არის ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც კომპანია ეწევა საქმიანობას. უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციების თავდაპირველ აღრიცხვას კომპანია აწარმოებს ოპერაციის თარიღისთვის დადგენილი ფუნქციონალური ვალუტის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისთვის ფუნქციონალური ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსის შესაბამისად. სხვაობების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და პირვანდელი ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილია თავდაპირველი ოპერაციების თარიღისათვის მოქმედი სავალუტო კურსების შესაბამისად.

გაცვლითი კურსები	საქ. ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2024 წლის 31 დეკემბერს	2.8068	2.9306
გაცვლითი კურსი 2023 წლის 31 დეკემბერს	2.6894	2.9753

b) ძირითადი საშუალებები

i. აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებების აღსარიცხად „კომპანია“ იყენებს თვითღირებულების მოდელს. ძირითადი საშუალებები აღრიცხულია ისტორიული ღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და/ან გაუფასურების შედეგად დარიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. როდესაც პერიოდულად ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის შეცვლა ხდება „კომპანია“ ასეთ ნაწილს აღიარებს დამოუკიდებელ აქტივად სასარგებლო გამოყენების კონკრეტული ვადით და შესაბამისად აღრიცხავს ცვეთას. და მისი ხარჯის აღიარება ხორციელდება ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების ოდენობაში ჩანაცვლების ღირებულების სახით, აღიარების კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში. ყველა დანარჩენი შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში.

ძირითადი საშუალების ნაწილის შეცვლის ხარჯის აღიარება ხდება ამ ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში თუ მოსალოდნელია, რომ „კომპანია“ მიიღებს ამ ნაწილის თანმდევ სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს და თუ შესაძლებელია მისი ხარჯის სარწმუნოდ შეფასება შეცვლილი ნაწილის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება.

ii. ცვეთა

ცვეთის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგან იგი ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. ცალკეული აქტივის მნიშვნელოვანი კომპონენტები ფასდება და თუ ამ კომპონენტს აქტივის დანარჩენი ნაწილისგან განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადა აქვს, მისი ცვეთა განსხვავებულად ხორციელდება.

„კომპანიის“ მიერ განსაზღვრულია აქტივის სალიკვიდაციო ღირებულება, რომლის მიღებას მოელის საწარმო ამ აქტივისაგან მისი სასარგებლო გამოყენების ვადის გასვლის შემდეგ, გაყიდვასთან დაკავშირებული დანახარჯების გამოკლებით. აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრა იმ დაშვებით, რომ გარკვეული დროის შემდეგ („გარკვეული დრო“ დამოკიდებულია ფართის იჯარის ხელშეკრულების ვადებზე) მოხდება

აქტივის გაყიდვა, ამიტომ აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა მისი ეკონომიკური ვარგისიანობის ვადაზე ნაკლებია.

სააღრიცხვო ჯგუფების მიხედვით ცვეთის ნორმა შეადგენს:

ჯგუფის დასახელება	ცვეთის ნორმა
სათამაშო ბიზნესის აღჭურვილობა	10-12
ბარ-რესტორნის აღჭურვილობა	10-12
ოფისის აღჭურვილობა	10-12
სატრანსპორტო საშუალებები	10-12

iii. აღიარების შეწყვეტა

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება თუ ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) აისახება მოგებაში ან ზარალში აქტივის აღიარების შეწყვეტისთანავე.

c) არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დარიცხული ამორტიზაცია და გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგები, ასეთის არსებობის შემთხვევაში. არამატერიალური აქტივი სასარგებლო გამოყენების ვადა შეიძლება იყოს განუსაზღვრელი ან შეზღუდული.

„კომპანიას“ ბიზნეს სპეციფიკიდან გამომდინარე გააჩნია არამატერიალური აქტივები, სანებართვო ლიცენზიები, რომელთა სასარგებლო მომსახურების ვადა არ აღემატება ამ ნებართვების მოქმედების ვადას.

„კომპანია“ არ ფლობს სასარგებლო მომსახურების განუსაზღვრელი ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასვლისას ან როდესაც არავითარი მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ არის მოსალოდნელი აქტივის გამოყენებისა და შემდგომი გასვლის შემდეგ. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტისას წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა განისაზღვროს, როგორც სხვაობა აქტივის გასვლის წმინდა შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და უნდა აღიარდეს მოგებაში ან ზარალში, როდესაც აქტივის აღიარება შეწყდება. შემოსულობა არ კლასიფიცირდება ამონაგებად.

შპს „სანშაინ“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ერთეულ ლარში

„კომპანია“ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივზე ამორტიზაციას არ წყვეტს მაშინაც, როცა არამატერიალური აქტივი არ გამოიყენება, გარდა ისეთი შემთხვევისა როცა ის ბოლომდეა ამორტიზირებული ან კლასიფიცირებულია გასაყიდად გამიზნულად ფასს 5-ის შესაბამისად.

d) სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური მარაგის ღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპს და მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს, ასევე წარმოების და დამუშავების ხარჯს. წარმოების თვითღირებულებასა და სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი პროდუქციის დასრულების მიახლოებითი ხარჯებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით.

e) ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივი შემდეგ კატეგორიებს მიეკუთვნება: მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები, სესხები და მისაღები ანგარიშები, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები, ან წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები საჭიროების შემთხვევაში ჰეჯირებისთვის. „კომპანია“ თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი თავდაპირველი აღიარებისას.

ყველა ფინანსური აქტივის აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების დანახარჯები იმ თარიღისთვის, რომლითაც „კომპანია“ გახდა ინსტრუმენტთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულების მხარე.

ყველა ის ფინანსური აქტივი, რომელსაც „კომპანია“ 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფლობს, მიეკუთვნება სესხებისა და მისაღები ანგარიშების კატეგორიას.

შემდგომი შეფასება დამოკიდებულია ფინანსური აქტივის კლასიფიკაციაზე.

სესხები და მისაღები ანგარიშები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით, რომელიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. თავდაპირველი შეფასების შემდეგ ასეთი ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება ხორციელდება ამორტიზირებული ღირებულების

შესაბამისად, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (EIR), გაუფასურების გამოკლებით. ამორტიზებული ღირებულება გამოანგარიშებულია ნებისმიერი შესყიდვისას დისკონტის ან ნამეტი თანხის, აგრეთვე იმ საკომისიო გადასახდელებისა თუ ხარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება მოგებაში ან ზარალში, ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ნაწილში. სესხებთან დაკავშირებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალის აღიარება ხდება ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების ნაწილში, ხოლო სხვა ფინანსური აქტივების გაუფასურებით გამოწვეული ზარალი აისახება საოპერაციო ხარჯებში.

აღიარების შეწყვეტა

„კომპანია“ წყვეტს ფინანსური აქტივების აღიარებას, როდესაც იწურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივებიდან ფულადი სახსრების ნაკადების მიღებაზე ან როდესაც გადასცემს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლებას ფინანსური აქტივებიდან ფულადი სახსრების მიღებაზე ისეთი გარიგების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც ამ ფინანსური აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული თითქმის ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემა ხდება. ნებისმიერი მონაწილეობა გადაცემულ ფინანსურ აქტივებში, რომელიც „კომპანიამ“ შექმნა ან შეინარჩუნა აღიარებული უნდა იყოს ცალკე აქტივის ან ვალდებულების სახით.

გაუფასურება

თითოეული საანგარიშგებო თარიღისათვის, „კომპანია“ აფასებს ფინანსური აქტივის გაუფასურების ობიექტური ნიშნების არსებობას. ფინანსური აქტივი გაუფასურებულად განიხილება თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება ერთი ან მეტი მოვლენის შედეგად, რომელსაც ადგილი ჰქონდა აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ და ზარალის დადგომის ეს შემთხვევა გავლენას ახდენს ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მოსალოდნელ მომავალ ნაკადებზე, რომელთა სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

„კომპანია“ ინდივიდუალურად აფასებს თითოეული თავისი ფინანსური აქტივის გაუფასურებას.

შპს „სანშაინ“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ერთეულ ლარში

საპროცენტო შემოსავალი აისახება ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის ნაწილში მოგებაში ან ზარალში. სესხები და მისაღები ანგარიშები მათთან დაკავშირებულ რეზერვთან ერთად ჩამოიწერება მაშინ, როდესაც მომავალში მათი ამოღების პერსპექტივა არ არსებობს.

f) ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებაში ან ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები და გადასახდელი ანგარიშები. „კომპანია“ თავისი ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი თავდაპირველი აღიარებისას. ყველა ფინანსური ვალდებულების თავდაპირველი აღიარება ხდება თავდაპირველი ღირებულებით. „კომპანიის“ ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც მიეკუთვნება სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების კატეგორიას, მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს, მიღებულ სესხებს, საიჯარო ვალდებულებებს.

აღიარების შეწყვეტა

„კომპანია“ ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების, გაუქმების და ამოწურვის შემთხვევაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ჩათვლა ხორციელდება და წმინდა თანხით აისახება ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში, მხოლოდ მაშინ, როდესაც „კომპანიას“ აქვს სამართლებრივი უფლება მოახდინოს ურთიერთჩათვლა, ან აპირებს განახორციელოს ურთიერთგაქვითვა ნეტო საფუძველზე ან ერთდროულად მოახდინოს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულებების დაფარვა.

გ) გადასახადები

i. მოგების გადასახადი

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად „კომპანია“ იბეგრება ე.წ. ესტონური მოდელით წმინდა განაწილების 15/85 განაკვეთით. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზნებისთვის მოგების გადასახადის დაბეგვრის ობიექტი „კომპანიის“ მიერ იმიჯდება ორ ნაწილად : მოგება, რომელიც დივიდენდის სახით ნაწილდება და დაბეგვრის სხვა ობიექტები გარდა დივიდენდის სახით განაწილებული მოგებისა (სხვა დასაბეგრი ობიექტი).

შპს „სანშაინ“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ერთულ ლარში

„კომპანიის“ მიერ დივიდენდის სახით განაწილებული მოგებიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება დივიდენდის განაწილების შესახებ საწარმოს პარტნიორთა მიერ გადაწყვეტილების მიღებისთანავე (კრების ოქმი). მოგების გადასახადის ხარჯი საანგარიშგებო მუხლით „მოგების გადასახადი“ წარდგენილი იქნება იმ საანგარიშგებო წლის მოგება ან ზარალში, როდესაც მოხდა დივიდენდის განაწილება.

სხვა დასაბეგრი ობიექტიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება გადასახადის გადახდის ვალდებულების წარმოშობი მოვლენის მოხდენის შესაბამის საანგარიშგებო თვეში, თუ ეს მოვლენა არ განაპირობებს საგადასახადო ვალდებულების შესაბამისი აქტივის წარმოშობას (როდესაც ვალდებულება შეიძლება შემცირდეს მაგ. გაცემული სესხის დაბრუნების შედეგად) და აკმაყოფილებს ხარჯის სახით აღიარების კრიტერიუმებს, მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება და წარდგენილი არის საანგარიშგებო პერიოდის მოგებაში ან ზარალში ხარჯის სახით. ის არ მიეკუთვნება საანგარიშგებო მუხლს „მოგების გადასახადი“.

ii. დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯების და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, იმ შემთხვევაში თუ ეს კონკრეტული (შემოსავალი, ხარჯები და აქტივები) მიეკუთვნება დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციებს, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც შემოსავლები, ხარჯები და აქტივები დღგ-ის ჩათვლის უფლებით განთავისუფლებულ ბრუნვას მიეკუთვნება, მათი გათვალისწინება ხდება თვითღირებულებაში.

საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებითი ღირებულების გადასახადის აქტივის ან ვალდებულების წმინდა თანხა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების სხვა საგადასახადო დავალიანების მუხლში.

iii. საშემოსავლო გადასახადი

„კომპანია“ იხდის საშემოსავლო გადასახადს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი განაკვეთით -20%. საშემოსავლო გადასახადი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია სხვა საგადასახადო დავალიანების მუხლში.

შპს „სანშაინ“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ერთეულ ლარში

h) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს და საბანკო ანგარიშებს.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის 31 დეკემბერს არსებული კურსით.

i) ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ თუ წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად „კომპანიას“ აქვს მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომლის წინასწარი შეფასებაც სარწმუნოდ შეიძლება და ვალდებულების დასაფარად შესაძლოა ეკონომიკური სარგებლის გადინება გახდეს საჭირო. ანარიცხების განსაზღვრა ხდება მოსალოდნელი სამომავლო ფულადი სახსრების ნაკადების დაბეგვრამდელი განაკვეთით დისკონტირებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და ვალდებულებისთვის დამახასიათებელ რისკებს. დისკონტირების გაუქმების აღიარება აისახება, როგორც ფინანსური ხარჯი. 2019 წლის საანგარიშო პერიოდში „კომპანიას“ ანარიცხების აღიარების ვალდებულება არ ჰქონია.

j) იჯარები

იჯარის იდენტიფიკაცია

ხელშეკრულების დადებისას, კომპანია განსაზღვრავს არის თუ არა ან მოიცავს თუ არა აღნიშნული ხელშეკრულება იჯარას. ხელშეკრულება არის ან შეიცავს იჯარას, თუ ის გადასცემს კონკრეტული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას დროის გარკვეული პერიოდით გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ. იმის შესაფასებლად გადასცემს თუ არა ხელშეკრულება კონკრეტული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას, კომპანია ფასს 16-ის იჯარის განმარტებას იყენებს.

წინამდებარე პოლიტიკა გამოიყენება ხელშეკრულებებზე რომლებიც დადებულია 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდგომ.

როგორც მოიჯარე

შპს „სანშაინ“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ერთეულ ლარში

იჯარის კომპონენტის შემცველი ხელშეკრულების დადების ან ცვლილების დროს, კომპანია ანაწილებს სახელშეკრულებო ანაზღაურებას თითოეულ საიჯარო კომპონენტზე მათი ფარდობითი ცალკეული ფასების მიხედვით. თუმცა, ქონების იჯარებისთვის კომპანიამ აირჩია არ განაცალკევოს არასაიჯარო კომპონენტები და იჯარა და არასაიჯარო კომპონენტები აღრიცხოს ერთი იჯარის კომპონენტის სახით.

კომპანია აღიარებს აქტივს გამოყენების უფლებით და საიჯარო ვალდებულებას იჯარის დაწყების თარიღისთვის. აქტივი გამოყენების უფლებით თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ ოდენობას კორექტირებულს ნებისმიერი საიჯარო გადახდებით, რომლებიც დაწყების თარიღში ან ამ თარიღამდე განხორციელდა, დამატებული ნებისმიერი თავდაპირველი პირდაპირ გაწეული ხარჯები და აქტივის დაშლის და შესაბამისი აქტივის გატანის ან მისი აღდგენის ან იმ ტერიტორიის აღდგენის ხარჯები სადაც აღნიშნული აქტივი მდებარეობდა, გამოკლებული ნებისმიერი მიღებული საიჯარო სტიმულირება.

შემდგომ ხდება გამოყენების უფლებით აქტივის ცვეთა წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის დაწყებიდან მისი დასრულების თარიღამდე, გარდა შემთხვევებისა როდესაც იჯარა გადასცემს შესაბამისი აქტივის მფლობელობას კომპანიას იჯარის ვადის ბოლოს, ან იმ შემთხვევაში თუ გამოყენების უფლებით აქტივის თვითღირებულება ასახავს კომპანიის მხრიდან შესყიდვის შესაძლებლობის გამოყენებას. ამ შემთხვევაში მოხდება „აქტივი გამოყენების უფლებით“ ცვეთა შესაბამისი აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის მანძილზე, რომელიც ძირითადი საშუალებების მსგავს საფუძველზე განისაზღვრება. ამასთანავე, „აქტივი გამოყენების უფლებით“ პერიოდულად შემცირებულია გაუფასურების ზარალით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და კორექტირდება საიჯარო ვალდებულების კონკრეტული გადაფასებით.

საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად ფასდება იმ საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით, რომლებიც არ არის გადახდილი დაწყების თარიღისათვის, დისკონტირებული იჯარაში ჩართული საპროცენტო განაკვეთით ან, თუ აღნიშნული განაკვეთის განსაზღვრა დროულად ვერ ხერხდება, კომპანიის ზღვრული სასესხო განაკვეთით.

კომპანია მის ზღვრულ სასესხო განაკვეთს განსაზღვრავს სხვადასხვა გარე ფინანსური წყაროებიდან საპროცენტო განაკვეთების მოპოვების გზით და მათი გარკვეული კორექტირებით, საიჯარო პირობების და იჯარით აღებული აქტივის სახეობის ასახვის მიზნით.

საიჯარო ვალდებულების შეფასებაში შეტანილი საიჯარო გადახდები მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს, მათ შორის „არსებით“ ფიქსირებულ გადახდებს. საიჯარო ვალდებულება შემდგომ გაზრდილია საპროცენტო ხარჯით საიჯარო ვალდებულებაზე და შემცირებულია განხორციელებული საიჯარო გადახდებით. საიჯარო ვალდებულება ფასდება

შპს „სანშაინ“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ერთეულ ლარში

ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. ის გადაფასებულია თუ კომპანია შეცვლის შეფასებას იმისა გამოიყენებს თუ არა ის შესყიდვის, გახანგრძლივების ან შეწყვეტის შესაძლებლობას ან არსებობს თუ არა გადახდილი არსებითი ფიქსირებული საიჯარო გადახდა. როდესაც საიჯარო ვალდებულება მსგავსი გზით ფასდება, ხდება გამოყენების უფლების მქონე აქტივის საბალანსო ღირებულების შესაბამისი კორექტირება, ან აღრიცხულია მოგებაში ან ზარალში თუ ამ აქტივის საბალანსო ღირებულება შემცირებულია ნულამდე.

კომპანიამ აირჩია გამოიყენოს ერთი დისკონტირების განაკვეთი მსგავსი მახასიათებლების მქონე იჯარების პორტფელზე. კომპანიამ აირჩია გამოიყენოს პორტფელის აღრიცხვა მსგავსი მახასიათებლების მქონე იჯარებისთვის. კომპანიამ აირჩია არ აღიაროს „აქტივები გამოყენების უფლებით“ და საიჯარო ვალდებულებები დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებზე. კომპანია აღნიშნულ იჯარებთან დაკავშირებულ საიჯარო გადახდებს აღიარებს ხარჯის სახით წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის ვადის მანძილზე.

საიჯარო ვადა ასახავს კომპანიის მიერ იმ პერიოდის გონივრულ შეფასებას, რომლის განმავლობაშიც შესაბამისი აქტივი იქნება გამოყენებული. საიჯარო ვადის განსაზღვრისას კომპანია მის განსჯას კონტრაქტის და შესაბამისი აქტივის ფართო ეკონომიკაზე და არა მხოლოდ სახელშეკრულებო პირობებზე აფუძნებს, რაც იძლევა საშუალებას, რომ ფაქტორები როგორებიცაა ეკონომიკური ჯარიმები, საკანონმდებლო მიდგომა იჯარის განახლებაზე, მოსალოდნელი ცვლილებები რეგულაციაში და კომპანიის სამომავლო ბიზნეს გეგმები ეფექტურად იყოს ასახული საიჯარო ვადის შეფასებაში.

k) შემოსავლები

შემოსავლების აღიარება ხდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოღინება. „კომპანიის“ ეკონომიკური საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე შემოსავლების შეფასება შესაძლებელია რეალურად.

ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავალი კლასიფიცირებულია საოპერაციო და არასაოპერაციო შემოსავლებად.

l) საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი აისახება მოგებაში ან ზარალში ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის ნაწილში.

m) ხარჯები

ფინანსურ ანგარიშგებაში ხარჯების მუხლებად წარმოდგენილია პერიოდის შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებული დანახარჯები.

5. ახალი ან გადასინჯული სტანდარტების მიღება და ინტერპრეტაციები

ა) 2024 წლის 1 იანვრიდან ძალაში შესული სტანდარტები და შესწორებები

საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვისას (ფასს 16-ის შესწორება). 2020 წლის ივნისში ფასს ინტერპრეტაციების საბჭომ გამოსცა დღის წესრიგის გადაწყვეტილება უკუიჯარის პირობით გაყიდვა ცვლად გადასახდელებთან დაკავშირებით. აღნიშნული საკითხი გადაეცა IASB-ს ზოგიერთი ასპექტის სტანდარტში გათვალისწინების მიზნით. 2022 წლის სექტემბერში IASB-იმ გამოსცა საბოლოო შესწორება. შესწორების თანახმად გამყიდველ-მოიჯარეს მოეთხოვება იმგვარად განსაზღვროს „საიჯარო გადასახდელები“ ან „გადახდილი საიჯარო გადასახდელები“, რომ არ აღიაროს გამყიდველი-მოიჯარის მიერ შენარჩუნებულ სარგებლობის უფლებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ოდენობის მოგება ან ზარალი.

ბასს 1 ფინანსური ანგარიშების წარდგენა (შესწორება - ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად, კოვენანტებიანი გრძელვადიანი ვალდებულებები) 2020 წლის იანვარში IASB-იმ გამოსცა ბასს 1-ის შესწორება ვალდებულების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციასთან დაკავშირებით. ხოლო 2022 წლის ოქტომბერში შემდგომი შესწორება განხორციელდა კოვენტანტებიანი გრძელვადიანი ვალდებულებებთან მიმართებაში. შესწორების თანახმად, საწარმოს მოეთხოვება გააჩნდეს ვალდებულების დაფარვის გადავადების არსებითი უფლება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ სულ მცირე თორმეტი თვით და აღნიშნული უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულების კლასიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს ალბათობა იმისა, რომ საწარმო გამოიყენებს უფლებას საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვით გადავადებასთან დაკავშირებით.

ბ) სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2025 წლის 1 იანვრიდან

გასაცვლელი სავალუტო კურსის არ არსებობა (შესწორება ბასს 21-ში) 2023 წლის 15 აგვისტოს, IASB-იმ გამოსცა გასაცვლელი კურსის არ არსებობა, რომელიც წარმოადგენს ბასს 21-ის, უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგების, შესწორებას (შესწორებები). შესწორება წარმოადგენს მოთხოვნას, შეფასდეს როდის იცვლება ვალუტა

შპს „სანშაინ“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ერთეულ ლარში

სხვა ვალუტაში და როდის არა. შესწორება საწარმოს სთხოვს განსაზღვროს სპოტ სავალუტო კური, როდესაც საწარმო დაასკვნის რომ ვალუტა სხვა ვალუტაში არ იცვლება.

გ) სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2026 წლის 1 იანვრიდან

ცვლილებები ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციასა და შეფასებაში (შესწორებები ფასს 9-სა და ფასს 7-ში). ცვლილებები შეეხო შემდეგ მოთხოვნებს ფასს 9-სა და ფასს 7-ში:

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა - ელექტრონული გადარიცხვით ანგარიშსწორებული ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა;

ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია - ძირითადი საკრედიტო შეთანხმების მნიშვნელოვანი ელემენტები (მხოლოდ ძირის დაფარვა და პროცენტის შეფასება – ‘SPPI ტესტი’);

სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც ცვლიან ფულადი ნაკადების ვადებს ან სიდიდეს;

ფინანსური აქტივი რეგრესის უფლების გარეშე;

ინვესტიციები ხელშეკრულებით დაკავშირებულ ინსტრუმენტებში.

ახსნა განმარტებითი შენიშვნები

ინვესტიციები კაპიტალის ინსტრუმენტებში, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა მთლიანი შემოსავლის ასახვით;

სახელშეკრულებო პირობები, რომლებმაც შეიძლება შეცვალონ ფულადი ნაკადების სახელშეკრულებო ვადა ან მოცულობა.

ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება. წლიური გაუმჯობესება შემოიფარგლება ცვლილებებით, რომლებიც აზუსტებს ფასს სტანდარტების ფორმულირებას ან ასწორებს სტანდარტის მიერ გამოწვეულ მცირე არასასურველ შედეგებს. მცირე დაზუსტებები და გაუმჯობესება შეეხება შემდეგ სტანდარტებს: IFRS 1, IFRS 7, IFRS 9, IFRS 10 და IAS 7 (მაგალითად, ჰეჯირების აღრიცხვა, საიჯარო ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა).

ამჟამად, კომპანია აფასებს ცვლილებების მოსალოდნელ გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე. კომპანიას არ გააჩნია მოლოდინი, რომ ბასსკ-ის მიერ გამოშვებული სხვა რომელიმე სტანდარტს, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შპს „სანშაინ“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ერთეულ ლარში

შენიშვნა 6

შემოსავალი ძირითადი საქმიანობიდან და სხვა საწარმოო შემოსავლები

	2024	2023
შემოსავალი კაზინოს მაგიდეებიდან	54,631,389	34,970,334
შემოსავალი სათამაშო აპარატებიდან	17,747,125	12,106,300
გასავალი კაზინოს მაგიდეებიდან	(7,515,122)	(5,977,726)
გასავალი სათამაშო აპარატებიდან	(2,658,015)	(735,788)
შემოსავალი ბარ/რესტორნიდან	1,096,730	824,729
სულ	63,302,108	41,187,850

შენიშვნა 7(a)

	2024	2023
გამოყენებული ნედლეული მასალა	3,470,826	2,218,642
სულ	3,470,826	2,218,642

შენიშვნა 7(b)

	2024	2023
პერსონალის ხარჯი		
შრომითი გასამრჯელო	20,498,483	17,774,082
პერსონალის კვება	972,336	634,052
პერსონალის დაზღვევა	102,163	102,488
ტრანსპორტირების ხარჯი	5,450	1,450
სულ	21,578,431	18,512,071

შენიშვნა 7(c)

	2024	2023
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურება		
რეკლამის ხარჯი	676,046	564,059

შენიშვნა 7(g)

	2024	2023
საგადასახადო ხარჯი		
ქონების გადასახადი	64,438	68,284
მოსაკრებლის გადასახადი	5,556,000	4,248,000
საშემოსავლო გადასახადი	298,313	194,527
დღგ	612,574	378,823
სხვა საგადასახადო ხარჯები	89,340	27,658
სულ	6,620,666	4,917,292

შენიშვნა 7(d)

	2024	2023
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯი		
საკომუნიკაციო ხარჯი	25,888	27,010
კომუნალური მომსახურების ხარჯი	256,762	210,062
სულ	282,650	237,073

20

შპს „სანშაინ“
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 ერთეულ ლარში

შენიშვნა 7(e)

იჯარის ხარჯი

	2024	2023
ფართის იჯარა	72,837	50,583
ტექნიკის იჯარა	1,345,151	730,689
სულ	1,417,988	781,272

შენიშვნა 7(f)

ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯი

	2024	2023
საწვავის ხარჯი	39,174	23,267

შენიშვნა 7(h)

ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი

	2024	2023
ცვეთა და ამორტიზაცია	6,130,686	6,056,835
აქტივი გამოყენების უფლებით ცვეთა	2,927,318	2,937,952
სულ	9,058,004	8,994,786

შენიშვნა 7(i)

ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები

	2024	2023
საბანკო ხარჯი	596,035	378,563
დაზღვევა	16,116	18,158
საკანცელარიო ხარჯი	16,535	12,478
კომპიუტერის ხარჯი	41,426	47,547
სამეურნეო ხარჯი	61,441	29,217
სასტუმროს ხარჯი	941,076	522,935
პროგრამული უზრუნველყოფა	233,860	138,481
დამხმარე მასალების/მომსახურების შესყიდვის ხარჯი	709,250	522,541
ძირ. საშუალებების მიმდინარე რემონტის ხარჯი	93,592	138,791
საპენსიო ხარჯი	293,728	249,167
სულ	3,003,058	2,057,877

შენიშვნა 8

ფინანსური შემოსავლები

	2024	2023
საპროცენტო შემოსავალი ანაზღაურებიდან	109,150	147,972
საპროცენტო შემოსავალი გაცემული სესხიდან		221,328
სულ	109,150	369,300

შპს „სანშაინ“
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 ერთეულ ლარში

შენიშვნა 9

ფინანსური დანახარჯები

საპროცენტო ხარჯები

გრძელვადიანი იჯარის ვალდებულების პროცენტის ხარჯი
სულ

2024	2023
484,074	295,045

2,545,237	2,697,055
<u>3,029,311</u>	<u>2,992,100</u>

შენიშვნა 10

საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსავალი/ხარჯი

შემოსავალი დადებითი საკურსო სხვაობიდან

ხარჯი უარყოფითი საკურსო სხვაობიდან

სულ

2024	2023
253,529	460,867

(1,639,009)	(644,204)
<u>(1,385,480)</u>	<u>(183,337)</u>

შენიშვნა 11

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი

სულ

2024	2023
3,525,281	2,481,129

<u>3,525,281</u>	<u>2,481,129</u>
------------------	------------------

შენიშვნა 12

ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტი

ფული სალაროს ანგარიშზე

ნაღდი ფული სალაროში

ვალუტის გადამცვლელი პუნქტი (ღარი)

ვალუტის გადამცვლელი პუნქტი (აშშ დოლარი)

31/12/2024	31/12/2023
9,622,436	9,514,050
301,887	356,291
189,644	129,441

ფული საბანკო ანგარიშზე

ფული საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში

სულ

7,336,799	3,420,778
<u>17,450,766</u>	<u>13,420,560</u>

შენიშვნა 13

გადახდილი ავანსები

მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები

სულ

31/12/2024	31/12/2023
72,379	28,188
<u>72,379</u>	<u>28,188</u>

შპს „სანშაინ“
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 ერთეულ ლარში

შენიშვნა 14

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	31/12/2024	31/12/2023
<i>ნედლეული და მასალები</i>	378,061	324,922
<i>სხვა მარაგები</i>	329,739	348,153
<u>სულ</u>	<u>707,800</u>	<u>673,075</u>

შენიშვნა 15

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	31/12/2024	31/12/2023
<i>სავაჭრო მოთხოვნები</i>	137,464	55,358
<u>სულ</u>	<u>137,464</u>	<u>55,358</u>

შენიშვნა 16

წინასწარ გადახდილი გადასახადები	31/12/2024	31/12/2023
<i>სათანამაშო ბიზნესის მოსაკრებელი</i>	1,400,000	1,364,000
<i>სხვა წინასწარ გადახდილი გადასახადი</i>	4,500	4,757
<u>სულ</u>	<u>1,404,500</u>	<u>1,368,757</u>

-

საგადასახადო ვალდებულებები	31/12/2024	31/12/2023
<i>მოგების გადასახადი</i>	512,274	157,524
<i>გადასახდელი დღგ</i>	13,632	10,166
<i>გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი</i>	(19,171)	(26,415)
<i>ქონების გადასახადი</i>	-	227
<i>სხვა საგადასახადო ვალდებულებები</i>	8,000	8,000
<u>სულ</u>	<u>514,735</u>	<u>149,503</u>

შპს „სანშაინ“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ერთეულ ლარში

შენიშვნა 17 ძირითადი საშუალების მოძრაობის ანგარიში	სათამაშო ბიზნესის აღჭურვილობა	მანქანა დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა ავეჯი და სხვა ინვენტარი	კომპიუტერული ტექნიკა და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	9,067,845	733,773	798,080	1,609,781	434,903	1,682,148	14,326,529
შემოსვლა 2023 წელს	436,631	21,298	7,371	206,832	-	90,033	762,164
გასვლა 2023 წელს	(679,838)	-	-	-	-	-	(679,838)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	8,824,638	755,071	805,450	1,816,613	434,903	1,772,181	14,408,856
შემოსვლა 2024 წელს	231,024	165,773	19,344	304,827	-	48,499	769,467
გასვლა 2024 წელს							-
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	9,055,663	920,844	824,794	2,121,439	434,903	1,820,679	15,178,323
ცვეთა გაუფასურება							
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(4,279,331)	(396,711)	(560,940)	(934,239)	(59,886)	(989,651)	(7,220,758)
დარიცხვა 2023 წლის განმავლობაში	(689,387)	(40,781)	(24,727)	(102,071)	(42,653)	(106,419)	(1,006,039)
გასვლა 2023 წლის განმავლობაში	369,011	-	-	-	-	-	369,011
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(4,599,707)	(437,492)	(585,667)	(1,036,311)	(102,539)	(1,096,070)	(7,857,786)
დარიცხვა 2024 წლის განმავლობაში	(605,785)	(55,483)	(25,687)	(139,385)	(42,653)	(114,920)	(983,912)
გასვლა 2024 წლის განმავლობაში							-
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(5,205,492)	(492,975)	(611,354)	(1,175,695)	(145,192)	(1,210,989)	(8,841,698)
წმინდა საბალანსო ღირებულება							
1 იანვარი 2023 წელი	4,788,514	337,061	237,140	675,542	375,017	692,497	7,105,771
31 დეკემბერი 2023 წელი	4,224,931	317,578	219,783	780,302	332,364	676,111	6,551,070
31 დეკემბერი 2024 წელი	3,850,171	427,869	213,440	945,744	289,711	609,690	6,336,625

* სათამაშო ბიზნესის აღჭურვილობის ცვეთა 2023 წელს შენიშვნაში გაზრდილია 95,978.67 ლარით, რაც გამოწვეულია სათამაშო აპარატების დაშლის შედეგად შიდა გადაადგილებით.

შპს „სანშაინ“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ერთეულ ლარში

შენიშვნა 18 არამატერიალური აქტივები	სამორინეს მოწყობის ნებართვა	სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის ნებართვა	წამახალისებელი გათამაშების მოწყობის ნებართვა	საბუღალტრო პროგრამა	მარაგების აღრიცხვის პროგრამა	ვალუტის გადამცველი პუნქტის პროგრამა	სლოტების აღრიცხვის პროგრამა	სამორინეს პროგრამა	პოკერის პროგრესირებადი ჯეკპოტის სისტემა	ჯამი
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	5,000,000	100,000	15,000	2,974	31,374	1,035	313,647	33,560	36,986	5,534,575
შემოსვლა 2023 წელს	5,000,000	100,000								5,100,000
გასვლა 2023 წელს	(5,000,000)	(100,000)								(5,100,000)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5,000,000	100,000	15,000	2,974	31,374	1,035	313,647	33,560	36,986	5,534,575
შემოსვლა 2024 წელს	5,000,000	100,000								5,100,000
გასვლა 2024 წელს	(5,000,000)	(100,000)								(5,100,000)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5,000,000	100,000	15,000	2,974	31,374	1,035	313,647	33,560	36,986	5,534,575
ცვეთა გაუფასურება										
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(1,972,603)	(39,452)	(15,000)	(2,521)	(22,056)	(856)	(56,358)	(4,929)	(5,432)	(2,119,207)
ღარიცხვა 2023 წლის განმავლობაში	(5,000,000)	(100,000)		(65)	(1,331)	(25)	(36,755)	(4,090)	(4,508)	(5,146,775)
გასვლა 2023 წლის განმავლობაში	5,000,000	100,000								5,100,000
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(1,972,603)	(39,452)	(15,000)	(2,586)	(23,387)	(882)	(93,114)	(9,019)	(9,939)	(2,165,981)
ღარიცხვა 2024 წლის განმავლობაში	(5,000,000)	(100,000)		(65)	(1,331)	(25)	(36,755)	(4,090)	(4,508)	(5,146,775)
გასვლა 2024 წლის განმავლობაში	5,000,000	100,000								5,100,000
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(1,972,603)	(39,452)	(15,000)	(2,650)	(24,718)	(907)	(129,869)	(13,109)	(14,447)	(2,212,756)
წმინდა საბალანსო ღირებულება										-
1 იანვარი 2023 წელი	3,027,397	60,548	-	453	9,318	178	257,288	28,631	31,554	3,415,368
31 დეკემბერი 2023 წელი	3,027,397	60,548	-	388	7,987	153	220,533	24,541	27,047	3,368,594
31 დეკემბერი 2024 წელი	3,027,397	60,548	-	324	6,656	127	183,777	20,451	22,539	3,321,819

შპს „სანშაინ“
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 ერთეულ ლარში

შენიშვნა 19

იჯარები

ინფორმაცია იჯარებზე, რომელშიც კომპანია მოქმედებს როგორც მოიჯარე:

i) წლის გავლენა

	ფართი
აქტივები გამოყენების უფლებით	
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	38,948,686
შესყიდვები	
ჩამოწერა	
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	38,948,686
შესყიდვები	
ჩამოწერა	(398,751)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	38,549,936
ცვეთა	
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	(15,200,244)
ცვეთის დარიცხვა	(2,937,952)
ჩამოწერა	
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	(18,138,196)
ცვეთის დარიცხვა	(2,927,318)
ჩამოწერა	
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	(21,065,514)
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს	23,748,442
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	20,810,491
საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბერს	17,484,422
საიჯარო ვალდებულება	
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	39,282,304
ცვლილება იჯარის	-
პროცენტის დარიცხვა	2,697,055
საიჯარო ვალდებულების დაფარვა	(2,460,695)
გადახდილი პროცენტი	(2,697,055)
უცხოური გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა	(218,730)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	36,602,879

შპს „სანშაინ“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ერთეულ ლარში

ცვლილება იჯარის	(398,751)
პროცენტის დარიცხვა	2,545,237
საიჯარო ვალდებულების დაფარვა	(4,035,285)
გადახდილი პროცენტი	(2,545,237)
უცხოური გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა	1,481,667
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	33,650,509

ii) მოგებაში ან ზარალში აღიარებული ოდენობები

	2023
2023-იჯარები ფასს16-ის ფარგლებში	
პროცენტი საიჯარო ვალდებულებებზე	2,697,055
მოკლევადიანი იჯარა	305,664
2024-იჯარები ფასს16-ის ფარგლებში	2024
პროცენტი საიჯარო ვალდებულებებზე	2,545,237
მოკლევადიანი იჯარა	305,664

iii) ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში აღიარებული ოდენობები

	2024	2023
საიჯარო ვალდებულების დაფარვა	(4,035,285)	(2,460,695)
საპროცენტო ხარჯის დაფარვა	(2,545,237)	(2,697,055)
სულ ფულადი სახსრების გადინება იჯარებისთვის	(6,580,523)	(5,157,750)

შენიშვნა 20

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	31/12/2024	31/12/2023
კრედიტორული დავალიანება	795,748	942,841
სულ	795,748	942,841

შპს „სანშაინ“
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 ერთეულ ლარში

შენიშვნა 21

შრომითი საქმიანობის გასამრჯელოები

	31/12/2024	31/12/2023
გადასახდელი ხელფასები	1,765,264	1,537,394
სულ	<u>1,765,264</u>	<u>1,537,394</u>

შენიშვნა 22

მიღებული სესხები	ვალუტა	დაფარვის თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	31/12/2024	31/12/2023
უზრუნველყოფილი სესხები ბანკისგან	GEL	30/12/2024	13		5,000,000
უზრუნველყოფილი სესხები ბანკისგან	GEL	29/07/2025	15	2,750,541	
სულ				<u>2,750,541</u>	<u>5,000,000</u>

	31/12/2024	31/12/2023
1 იანვარი 2024	5,000,000	2,989,276
სესხის მიღება	4,239,500	5,000,000
გადახდები წლის განმავლობაში	(6,488,959)	(2,989,276)
საპროცენტო ვალდებულებების დაფარვა	(484,074)	(295,044)
პროცენტის დარიცხვა	484,074	295,044
ვალუტის კურსით გამოწვეული სხვაობა	-	-
31 დეკემბერი 2024	<u>2,750,541</u>	<u>5,000,000</u>

შენიშვნა 23

სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	31/12/2024	31/12/2023
გადასახდელი დაზღვევა	2,225	1,639
გადასახდელი საპენსიო	52,862	44,794
სულ	<u>55,087</u>	<u>46,433</u>

24. რისკების მართვა

ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან გამომდინარე, კომპანია შემდეგი რისკების წინაშე იმყოფება:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი.

(i) რისკის მართვის სისტემა

კომპანიის ხელმძღვანელობას ეკისრება საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკის მართვის სისტემის დაწესებაზე და გადახედვაზე, ასევე მის განვითარებასა და ზედამხედველობაზე და მფლობელებისათვის მისი მოქმედების შესახებ რეგულარული ანგარიშის წარდგენაზე.

(ii) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური დანაკარგის რისკი, როდესაც მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის მეორე მხარე არ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და კომპანიას ძირითადად წარმოეშევა ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტებისგან. 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები განთავსებული იყო საქართველოს წამყვან ბანკებში, რეიტინგის (Fitch) მიხედვით, დეფოლტის მოკლევადიანი B შეფასებით. ხელმძღვანელობა არ ელის, რომ მეორე მხარე ვერ შეასრულებს ვალდებულებას და შესაბამისად სჯერა, რომ კომპანიას არ აქვს მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკი.

(iii) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დაფაროს თავისი ფინანსური ვალდებულებები ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივების საშუალებით. კომპანიის მიერ ლიკვიდურობის მართვის მიდგომა არის, რამდენადაც შესაძლებელია გადამოწმება იმისა, რომ ვალდებულების გაჩენისას,

შპს „სანშაინ“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ერთეულ ლარში

კომპანიას ყოველთვის ქონდეს დავალიანების შესაბამისი გადახდისუნარიანობა, როგორც ჩვეულებრივ, ასევე კრიზისულ სიტუაციაში, არასაჭირო დანაკარგების ან კომპანიის რეპუტაციაზე ზიანის მიყენების გარეშე.

კომპანიას არ აქვს ლიკვიდური რისკის მართვის ფორმალური პოლიტიკა.

ლიკვიდურობის რისკის მიმართ განფენილობა

მომდევნო ცხრილში ნაჩვენებია ანგარიშგების წარდგენის თარიღისათვის ფინანსური ვალდებულებების საკონტრაქტო ვადიანობა. თანხები საერთო მოცულობითაა წარმოდგენილი და არადისკონტირებულია, და მოიცავს სავარაუდო საპროცენტო გადახდებს და არ ითვალისწინებს ხელშეკრულებების ურთიერთჩათვლის გავლენას.

31 დეკემბერი 2024

	საბალანსო ღირებულება	საკონტრაქტო ფულადი ნაკადები	1 წლამდე	1-5 წელი	5 წელზე მეტი
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა	795,748	795,748	795,748		
კრედიტორული დავალიანება სესხები	2,750,541	2,888,503	2,888,503		
საიჯარო ვალდებულებები	33,650,509	41,102,218	6,756,529	30,404,380	3,941,309
	37,196,799	44,786,469	10,440,781	30,404,380	3,941,309

31 დეკემბერი 2023

	საბალანსო ღირებულება	საკონტრაქტო ფულადი ნაკადები	1 წლამდე	1-5 წელი	5 წელზე მეტი
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა	942,841	942,841	942,841		
კრედიტორული დავალიანება სესხები	5,000,000	5,322,459	5,322,459		
საიჯარო ვალდებულებები	36,602,879	45,856,959	6,473,924	28,371,018	11,012,017
	42,545,720	52,122,259	12,739,223	28,371,018	11,012,017

(iv) **საბაზრო რისკი**

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს სავალუტო კონვერტაციის განაკვეთების, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის შემოსავალზე ან მის მფლობელობაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

კომპანია არ მიმართავს ჰეჯირების პრაქტიკას, მოგება ან ზარალში ვოლატულობის სამართავად.

(v) **სავალუტო რისკი**

კომპანიის წინაშე არსებობს სავალუტო რისკი, რამდენადაც არსებობს შეუსაბამობა იმ ვალუტებს შორის რომლებითაც ამონაგები, შესყიდვები და სესხებია დენომინირებული და კომპანიის სამუშაო ვალუტას შორის.

კომპანიისთვის განფენილობა სავალუტო რისკის მიმართ შემდეგი გახლდათ:

ლარი	აშშ დოლარში დენომინირებული	ევროში დენომინირებული	აშშ დოლარში დენომინირებული	ევროში დენომინირებული
	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2023
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2,528,147	-	2,370,131	-
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	-	(6,102)	-	(6,195)
წმინდა განფენილობა	2,528,147	-6,102	2,370,131	-6,195

შპს „სანშაინ“
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 ერთეულ ლარში

შემდეგი მნიშვნელოვანი გაცვლის კურსები გამოიყენებოდა წლის განმავლობაში:

ლარში	საშუალო კურსი		ანგარიშგების წარდგენის თარიღისთვის	
	2024	2023	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აშშ დოლარი	2.7208	2.6279	2.8068	2.6894
ევრო	2.9440	2.8416	2.9306	2.9753

მგრძნობელობის ანალიზი

ლარის კურსის გამყარება (გაუფასურება), როგორც ქვემოთაა მითითებული, აშშ დოლართან მიმართებაში 31 დეკემბრის მდგომარეობით გავლენას მოახდენდა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე და წმინდა მოგებაზე ან ზარალზე ქვემოთ ნაჩვენები თანხების მიხედვით. ანალიზისას გამოყენებულია დაშვება, რომ ყველა სხვა ცვლადი, მათ შორის საპროცენტო განაკვეთები უცვლელია და უგულებელყოფს პროგნოზირებადი გაყიდვებისა და შესყიდვების გავლენას.

	მოგება ან ზარალი	
	გამყარება	გაუფასურება
31 დეკემბერი 2024		
აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)	252,815	-252,815
31 დეკემბერი 2024		
ევრო (10%-იანი მოძრაობა)	610	-610
31 დეკემბერი 2023		
აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)	237,013	-237,013
31 დეკემბერი 2023		
ევრო (10%-იანი მოძრაობა)	619	-619

(vi) საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობა ძირითადად აისახება სესხების რეალურ ღირებულებაზე (სესხი ფიქსირებული განაკვეთით) ან მათი მომავალ ფულადი სახსრების მოძრაობაზე (სესხი ცვალებადი განაკვეთით) ზეგავლენით. ხელმძღვანელობას არ აქვს ოფიციალური პოლიტიკა, განსაზღვროს რისკის მიმართ კომპანიის განფენილობის რა ნაწილი უნდა იყოს ფიქსირებული და რა ნაწილი ცვალებად განაკვეთზე დამოკიდებული. თუმცა, თითოეული სესხის აღებისას ხელმძღვანელობა საზღვრავს, სესხის ვადის ამოწურვამდე კომპანიისთვის რომელი უფრო ხელსაყრელი იქნება - სესხის ფიქსირებული განაკვეთი თუ ცვალებადი.

საპროცენტო განაკვეთის რისკის მიმართ განფენილობა

ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თარიღისთვის კომპანიის პროცენტიანი ფინანსური ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთის პროფილი იყო:

ლარი	საბალანსო ღირებულება	
	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფიქსირებულგანაკვეთიანი ინსტრუმენტები		
ფინანსური ვალდებულებები	(2,750,541)	(5,000,000)
	(2,750,541)	(5,000,000)

კომპანია ფიქსირებულ განაკვეთიან ფინანსურ ინსტრუმენტებს არ აღრიცხავს, რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით ან როგორც გასაყიდად გამიზნულს. შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თარიღისათვის საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები მოგება ან ზარალსა და კაპიტალზე გავლენას ვერ იქონიებს.

25. პირობითი ვალდებულებები

ა) საგადასახადო პირობითი ვალდებულებები საქართველოში

შპს „სანშაინ“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ერთეულ ლარში

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მისთვის დამახასიათებელია კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ხშირი ცვლილება, რომლებიც ხშირად ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივია და სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ სხვადასხვაგვარად განიმარტება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია „კომპანიას“ დააკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან 3 წელია გასული.

ზემოთხსენებული საგადასახადო ვითარებები ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც საქართველოში უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობის აზრით, იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

ბ) სასამართლო დავა

ხელმძღვანელობის აზრით, არ არსებობს მიმდინარე სასამართლო პროცესები ან სხვა სამართლებრივი მოთხოვნები, რომლებმაც შესაძლოა არსებითი ეფექტი იქონიონ კომპანიის ოპერაციებსა ან ფინანსურ მდგომარეობაზე და რომლებიც არ არის აღიარებული ან განმარტებული ამ ფინანსურ ანგარიშგებაში.

26. დაკავშირებული მხარეები.

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოადგენს:

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;

(ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;

(გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

(დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

შპს „სანშაინ“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ერთეულ ლარში

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები და ტრანზაქციები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობითა და საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა ამ თარიღში:

ფინანსური ანგარიშგების არე	დამფუძნებელი	უმაღლესი ხელმძღვანელები	სხვაგვარად დაკავშირებული მხარე
გადასახდელი დივიდენდი	517,110		
გაცემული დივიდენდი	3,960,000		
პერსონალის დანახარჯები		810,823	
გადასახდელი ხელფასები		66,250	

დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები და ტრანზაქციები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობითა და საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა ამ თარიღში:

ფინანსური ანგარიშგების არე	დამფუძნებელი	უმაღლესი ხელმძღვანელები	სხვაგვარად დაკავშირებული მხარე
გადასახდელი დივიდენდი	4,477,110		
გაცემული დივიდენდი	24,298,785		
გაცემული სესხის დაბრუნება	8,665,846		
პერსონალის დანახარჯები		738,754	
გადასახდელი ხელფასები		66,250	

შპს „სანშაინ“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ერთეულ ლარში

27. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ

2025 წელს კომპანიამ დამფუძნებლებზე გამოცხადა დივიდენდი 6,864,779.4 ლარი და გასცა 7,381,889.7 ლარი.

2025 წელს კომპანიამ ბანკისგან აიღო სესხი 5,000,000 ლარის ოდენობით და ასევე დაფარა 3,546.129.12 ლარი.

დირექტორი:

შპს „სანშაინ“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ერთეულ ლარში

27. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ

2025 წელს კომპანიამ დამფუძნებლებზე გამოცხადა დივიდენდი 6,864,779.4 ლარი და გასცა 7,381,889.7 ლარი.

2025 წელს კომპანიამ ბანკისგან აიღო სესხი 5,000,000 ლარის ოდენობით და ასევე დაფარა 3,546.129.12 ლარი.

დირექტორი:





2024 წლის მმართველობითი ანგარიშგება

შპს „სანშაინ“

24 ოქტომბერი 2025 წ.



დირექტორის მიმართვა

ჩვენ გარშემო სამყარო სწრაფად იცვლება. ამიტომ, თუ გვსურს, რომ შევინარჩუნოთ და გავაძლიეროთ ჩვენი პოზიცია, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ადეკვატურად ვპასუხობდეთ ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ თუ საბაზრო გამოწვევებს. ჩვენთვის მთავარი პრიორიტეტი ჩვენი სტუმრებია, რასაც გამოვხატავთ არა მხოლოდ მათდამი კეთილგანწყობითა და ვალდებულებით, არამედ პროდუქტის მუდმივი განახლებითა და ინოვაციით.

გვაქვს სტრატეგია წინსვლისა და განვითარების, რომელმაც უფრო მეტ წარმატებამდე უნდა მიგვიყვანოს. ჩვენი მიზანია, ვაქციოთ სტუმრები ჩვენს უმთავრეს პრიორიტეტად, რაც ამ სტრატეგიის მთავარი ნაწილია. მთელ ჩვენს გამოცდილებასა და პროფესიონალიზმს მივმართავთ იმისაკენ, რომ მომსახურება უკეთ მოვარგოთ ჩვენი სტუმრების მოთხოვნებსა და საჭიროებებს.

ჩვენ მიერ მიღებული მმართველობითი გადაწყვეტილებების მაღალი სტანდარტით შესრულება კარგად მართულ ორგანიზაციას ნიშნავს. კომპანიისთვის მნიშვნელოვანია, შევინარჩუნოთ არსებული მმართველობითი პრაქტიკა, რაც აუცილებელია ჩვენი შესაძლებლობების უფრო მეტად გაზრდისა და ბიზნესის გრძელვადიანი მდგრადობისათვის.

ჩვენი წარმატება, რა თქმა უნდა, ემყარება თანამშრომლების პროფესიონალიზმს. ჩვენი თანამშრომლები ყოველდღიურად თავდაუზოგავად მუშაობენ იმისთვის, რათა გაამართლონ სტუმრების მოლოდინი და გახადონ კომპანია გამორჩეული. მინდა, განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო მათ პროფესიონალურად და შესაძლებლობების მაქსიმუმით შესრულებული სამუშაოსთვის. მჯერა, რომ მათთან ერთად განვაგრძობთ წარმატებული მომავლის შენებას ჩვენი კომპანიისთვის.

სარჩევი

დირექტორის მიმართვა.....	2
კომპანიის ისტორია და საქმიანობის მიმოხილვა	4
მისია და სტრატეგია.....	6
სტრატეგიული მიმართულებები.....	6
ორგანიზაციული სტრუქტურა	7
სვოტ ანალიზი.....	12
განვითარება და მიზნები	12
კლიენტის კმაყოფილება	13
კომპანიის შიდა პოლიტიკა.....	14
სოციალური და დაქირავებულებთან დაკავშირებული საკითხები.....	15
პერსონალის შერჩევა, ვალდებულებები და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები	15
უსაფრთხოება	16
ფინანსური მაჩვენებლები	17

კომპანიის ისტორია და საქმიანობის მიმოხილვა

„კაზინო „აჭარა“ გაიხსნა 1998 წელს და მაშინვე იქცა ლიდერად სათამაშო ბიზნესში. 2016 წლამდე შპს „კაზინო აჭარამ“ გაიარა რეორგანიზაციის რამდენიმე ეტაპი, 2016 წელს კი შეიცვალა სახელი და კომპანიას ეწოდა შპს „სანშაინ“.



კომპანია ძირითადად აზარტული თამაშების ბაზარზე პოზიციონირებს და სამი სახის პროდუქტს სთავაზობს თავის მომხმარებლებს: მაგიდის თამაშებს, სათამაშო აპარატებსა და ბარ-რესტორანს. შემოსავლების ძირითადი ნაწილი მაგიდის თამაშებსა და სათამაშო აპარატებზე მოდის, ბარ-რესტორანი კი ავსებს ძირითად საქმიანობას.

სათამაშო ბიზნესის სფეროში კონკურენცია ყოველწლიურად იზრდება. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ დღესდღეობით ეს ბაზარი ერთ-ერთი ყველაზე მომგებიანი სექტორია საქართველოში.

შპს „სანშაინ“-ს აქვს სამორინეს, სათამაშო აპარატების ნებართვები. სამორინეს სტუმრების კონტიგენტი ინტერნაციონალურია.

კომპანიას უკავია დაახლოებით 4700 კვ.მ. და ორ სართულზეა განთავსებული, რომელთაგან თითოეულს თავისი კონცეფცია აქვს; პირველი სართული ძირითად სათამაშო დარბაზს და ბარ-რესტორანს ეთმობა. აქ შესასვლელად აუცილებელია რეგისტრაციის გავლა და დრესკოდის დაცვა. მეორე სართული კი მოიცავს სათამაშო დარბაზს, პოკერ კლუბს და ბარ-რესტორანს. კომპანიას აქვს სათამაშო მაგიდებისა და აპარატების ფართო არჩევანი, რაც მაქსიმალურადაა მორგებული ჩვენი სტუმრების მოთხოვნებს.



მისია და სტრატეგია

ხედვა:

თამაში არის გართობის შემადგენელი ნაწილი;

მისია:

ჩვენი მისიაა უსაფრთხო და ინოვაციური სათამაშო გარემოს შექმნა და შესაბამისად, გვყავდეს კმაყოფილი სტუმრები;

ამბიცია:

ჩვენ ყველაზე უკეთ გვესმის ჩვენი სტუმრების, ვხედავთ მათ საჭიროებებს და ვცდილობთ, გადავაჭარბოთ მათ მოლოდინს;

სტრატეგია:

ჩვენ ვავითარებთ გრძელვადიან და კეთილგანწყობილ ურთიერთობას სტუმრებთან. კომპანიის სტრატეგია ეფუძნება ხუთ პრინციპს: საზოგადოება, სტუმარი, თანამშრომელი, ინოვაცია და პარტნიორობა.

სტრატეგიული მიმართულებები

თანამშრომელი:

სტაბილური და განახლებადი სამუშაო პირობები;

საზოგადოება:

მაღალი ხარისხის სათამაშო პოლიტიკა, სოციალური ჩართულობა, სტუმართმოყვარეობა;

სტუმარი:

სტუმრის კმაყოფილება, მონაცემების ოპტიმალურად და პასუხისმგებლიანად გამოყენება, პასუხი ახალი თაობის მოთხოვნილებებსა და გამოწვევებზე;

განვითარება:


ინოვაცია და კონცეფციისა და პროდუქციის გაუმჯობესება.


პარტნიორობა:


სტრატეგიული პარტნიორობის გაძლიერება ცვალებად ბაზარზე.

ორგანიზაციული სტრუქტურა

ორგანიზაციის თანამშრომლები გადანაწილებულნი არიან სხვადასხვა დეპარტამენტში. სამორინეში სულ 11 დეპარტამენტი მოქმედებს, რომელთა საშუალებითაც კომპანია ახერხებს ეფექტიანად ფუნქციონირებას.







1	ადმინისტრაციული დეპარტამენტი	დირექტორი, მმართველი დირექტორი, გენერალური მენეჯერი, ფინანსური დირექტორი, იურისტი, მმართველი დირექტორის ასისტენტი, ოფის მენეჯერი, HR მენეჯერი, HR მენეჯერ ასისტენტი, HR ასისტენტი, ბუღალტერი, მოლარე კონტროლიორი, მოლარე ბუღალტერი, სერვის მენეჯერი, ტრასპორტის კორდინატორი, ხმის რეჟისორი.
2	მარკეტინგის დეპარტამენტი	მარკეტინგის მენეჯერი, მარკეტინგის ასისტენტ-მენეჯერი, მარკეტინგის მენეჯერის ასისტენტი, გრაფიკული დიზაინერი .
3	IT დეპარტამენტი	IT მენეჯერი, IT მენეჯერის ასისტენტი , IT სისტემური ადმინისტრატორი.
4	სათამაშო დეპარტამენტი	ცვლის მენეჯერი, VIP მენეჯერი, VIP მენეჯერის ასისტენტი, უფროსი პიტ ბოსი, პიტ ბოსი, პიტ ბოს ასისტენტი, პოკერ ოთახის პიტ ბოსი, უფროსი ინსპექტორი, ინსპექტორი 1 და 2 , უფროსი დილერი, დილერი 1, 2 და 3, მოსწავლე დილერი.
5	კვებისა და სასმელის დეპარტამენტი	კვებისა და სასმელების დირექტორი, ცვლის მენეჯერი, სერვის მენეჯერი, ფასების კონტროლიორი, ბარ-მენეჯერის ასისტენტი, ბარმენ 1 და 2, მიმტან სუპერვაიზერი 1, მიმტანი 1 და 2, შეფ მზარეული, სუ-შეფი, შეფ დე პარტიე, მზარეული, პერსონალის კვების კოორდინატორი, პერსონალის მზარეულის დამხმარე 1 და 2, პერსონალის ბარმენ 1 და 2, ჭურჭლის მრეცხავი, საწყობის ზედამხედველი, საწყობის მუშაკი .
6	სალაროს დეპარტამენტი	სალაროს მენეჯერი, სალაროს მენეჯერის ასისტენტი, სალაროს ზედამხედველი, მოლარე 1, 2 და 3, მოლარე სტაჟიორი.

7	მიმღებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი	მიმღებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, ცვლის უფროსი, კორდინატორი 1 და 2, სტაჟიორი 3, ღონისძიებების ორგანიზატორი 1 და 2, გარდერობის თანამშრომელი, ღამის ცვლის მძღოლი .
8	სლოტ დეპარტამენტი	სლოტ მენეჯერი, სლოტ მენეჯერის ასისტენტი, სლოტ შემოსავლების აღრიცხვის მენეჯერი, სლოტ შემოსავლების აღრიცხვის მენეჯერის ასისტენტი, სლოტ ცვლის უფროსი, სლოტ უფროსი ოპერატორი, სლოტ ოპერატორი 1, 2 და 3, სლოტ უფროსი ტექნიკოსი, სლოტ ტექნიკოსი , სლოტ მოსწავლე ტექნიკოსი.
9	ტექნიკური დეპარტამენტი	ტექნიკური მენეჯერი, დღის ცვლის მძღოლი, მთავარი ელექტრიკოსი, აუდიო-ვიდეო ინჟინერი, ელექტრიკოსი, საჩეხი აპარატების ინჟინერი, სავენტილაციო-საგენერატორო სამსახურის თანამშრომელი, დასუფთავების სამსახურის ზედამხედველი, დასუფთავების მუშაკი, დიასახლისი, სამეურნეო სამსახურის უფროსი, მუშა.
10	დაცვის დეპარტამენტი	დაცვის უფროსი, დაცვის უფროსის ასისტენტი, დაცვის ცვლის უფროსი, უფროსი დაცვა, დაცვა 1, დაცვა სტაჟიორი 2, დაცვა 3 (ქალი), გარე პერიმეტრის დაცვა 1 და 2.
11	მონიტორინგის დეპარტამენტი	მონიტორინგის მენეჯერი, მონიტორინგის მენეჯერის ასისტენტი, მონიტორინგის ცვლის მენეჯერი, უფროსი ოფიცერი, ოფიცერი 1,2, 3, მოსწავლე ოფიცერი, მონიტორინგის ტექნიკოსი 1,2 და მოსწავლე ტექნიკოსი.

სვოტ ანალიზი

კომპანია ყოველთვის აკეთებს წლიურ შეფასებას, თუ რა შესაძლებლობები აქვს და რა გამოწვევების მიღება შეუძლია ბაზარზე; ქვემოთ ჩამოთვლილია შესაძლებლობები და საფრთხეები, ასევე კომპანიის ის ძლიერი და სუსტი მხარეები, რომლებიც 2024 წლის ბაზრის კვლევამ აჩვენა:

ძლიერი მხარეები	შესაძლებლობები
♦ ძლიერი ბრენდი, ბაზრის ლიდერი ♦ სამართლიანი სათამაშო პოლიტიკა ♦ კვალიფიციური თანამშრომლები	♦ მუდმივი სწრაფვა ინოვაციებისადმი ♦ ახალი ტექნოლოგიები ♦ პროდუქტებისა და მომსახურების პორტფელის გაზრდა
სუსტი მხარეები	საფრთხეები
♦ მგრძნობიარე ეკონომიურ განვითარებაზე ♦ დამოკიდებულება სახელმწიფო რეგულაციებზე	♦ კონკურენტული გარემო ♦ თაღლითობის რისკი

განვითარება და მიზნები

ჩვენ მკაფიოდ გვაქვს განსაზღვრული კომპანიის მიზნები და დიდი ენთუზიაზმით ვცდილობთ მათ განხორციელებას.

ერთ-ერთი ძირითადი მიზანი არსებული შემოსავლის გაუმჯობესებაა. შესაბამისად, კომპანია ცდილობს, აზარტული თამაშების სფეროში ტექნოლოგიის განვითარების პროცესს არ ჩამორჩეს. ამიტომაც პერიოდულად იძენს და აახლებს აპარატურას, კლიენტებს სთავაზობს თამაშების ფართო არჩევანს. განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ძლიერი პრომოუშენი, რომელსაც კომპანია თავისი მარკეტინგული ჯგუფის დახმარებით ახორციელებს. ახალი კლიენტების მოსაზიდად რეგულარულად ტარდება ანალიზი არსებული კლიენტების კმაყოფილების მაჩვენებლის გასაზომად, ხოლო კონკურენტუნარიანობის შენარჩუნების მიზნით კომპანია მუდმივად ზრუნავს ბიზნესის ყველა ასპექტის გაუმჯობესებაზე.

ჩვენ პატივს ვცემთ ჩვენს ვალდებულებებს და ვიღებთ პასუხისმგებლობას თითოეულ გადადგმულ ნაბიჯზე. კომპანიის მენეჯმენტის ძირითადი პრინციპია პატიოსნება, საიმედოობა და ლოიალურობის პოლიტიკა კლიენტებისადმი. ასევე, ჩვენი მიზანია, შევთავაზოთ საზოგადოებას დასაქმების ხარისხიანი და სტაბილური სისტემა. მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი თანამშრომლები მომავალშიც ხედავდნენ საკუთარ თავს ჩვენს კომპანიაში და ჰქონდეთ კარიერული განვითარების შესაძლებლობა.

ჩვენ მუდმივად ვიმყარებთ ცოდნასა და უნარებს უკეთესი პროდუქტის შესაქმნელად და იმისათვის, რომ შევინარჩუნოთ ლიდერობა ბაზარზე.

კლიენტის კმაყოფილება

კომპანია ზრუნავს, რომ შეინარჩუნოს მომსახურების მაღალი ხარისხი და ორიენტირებულია მომხმარებლის კმაყოფილებაზე. ჩვენ ვუქმნით სტუმრებს კომფორტულ, სასიამოვნო და უსაფრთხო გარემოს, ასევე ვცდილობთ მომხმარებლის მოტივირებას წამახალისებელი გათამაშებებით.

VIP კლიენტებისთვის მოქმედებს განსაკუთრებული სერვისი, სამორინეს ტერიტორიაზე არსებობს “Club Prive”, რომელიც მხოლოდ VIP სტუმრებისთვისაა განკუთვნილი.



შპს „სანშაინ“-ის საპასუხისმგებლო სათამაშო პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტებია პასუხისმგებლობით თამაში, საიმედოობა და უსაფრთხო სათამაშო გარემო, რაც გულისხმობს როგორც მოთამაშის, ასევე თამაშის უსაფრთხოებასა და სტუმრის დამოკიდებულებისგან დაცვას.

ზრუნვა კლიენტებზე კომპანიის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ჩვენი მოვალეობაა, დავრწმუნდეთ, რომ ჩვენი სტუმრები პასუხისმგებლობით თამაშობენ ნებისმიერ დროს.

მოთამაშეები პრინციპულად პასუხისმგებლები არიან საკუთარ ქცევაზე; იმისათვის, რომ მათ გააცნობიერონ თავიანთი ქცევა და შესაბამისად, მიიღონ ადეკვატური გადაწყვეტილება, მენეჯმენტი უზრუნველყოფს მათ ყველა შესაძლო ინფორმაციით.

ამ პოლიტიკის განხორციელებაში უმთავრესი როლი ჩვენს თანამშრომლებს აკისრიათ. მათ აქვთ შესაბამისი ცოდნა, რათა დროულად შეძლონ სტუმრების ქცევის ცვლილების შეფასება, პოტენციური პრობლემური ქცევის ამოცნობა და შესაბამისი პოლიტიკის გატარება.

შპს „სანშაინ“-ის საპასუხისმგებლო სათამაშო პოლიტიკა ოთხ პრინციპზეა აგებული:

იდენტიფიკაცია და რეგისტრაცია:

სამორინეს სტუმარი შესვლისთანავე ვალდებულია გიაროს რეგისტრაცია მისი იდენტიფიცირების მიზნით.

ინფორმაცია და ცნობიერება:

თამაშზე დამოკიდებულების თავიდან აცილების, ან მინიმუმამდე შემცირების მიზნით, პოლიტიკა მიზნად ისახავს კლიენტების ინფორმირებას უსაფრთხო და საპასუხისმგებლო სათამაშო პრაქტიკის შესახებ.

მონიტორინგი:

ჩვენ ვაფასებთ სტუმრის ვიზიტების სიხშირეს და სათამაშო ქცევას და ანალიზის შედეგების მიხედვით განვსაზღვრავთ დამატებითი ზომების მიღების საჭიროებას.

ინტერვენცია:

მონიტორინგის შედეგების მიხედვით, შეიძლება მოხდეს მოთამაშის ვიზიტების შეზღუდვა, ან საერთოდ აკრძალვა.

კომპანიის შიდა პოლიტიკა

კომპანიის ბიზნესი ხასიათდება გარკვეული სპეციფიკით და მას არეგულირებს საქართველოში მოქმედი შემდეგი ნორმატიული აქტები:

- საქართველოს კანონი ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ;
- სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ საქართველოს კანონი;
- საქართველოს საგადასახადო კოდექსი;

მმართველი მენეჯმენტი კარგად იცნობს იმ საკანონმდებლო ბაზას, რომლის მოთხოვნების დაცვა არის კომპანიის პრიორიტეტი. ზემოხსენებული ნორმატიული აქტების შესაბამისად კომპანიას შემუშავებული აქვს თავისი შიდა პოლიტიკა.

სოციალური და დაქირავებულებთან დაკავშირებული საკითხები

ორგანიზაციაში 2024 წლის განმავლობაში საშუალოდ დასაქმებული იყო 519-ზე მეტი ადამიანი, რომელთა შრომა, ქცევა, მომხმარებლებთან და ერთმანეთთან ურთიერთობა რეგულირდება ორგანიზაციის შიდა განაწესით.

კომპანია იცავს საქართველოს შრომის კოდექსს. გარდა ამისა, დამატებით უზრუნველყოფს თანამშრომლებს უფასო კვებითა და დაზღვევით.

პერსონალის შერჩევა, ვალდებულებები და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები

კომპანიაში მოქმედებს კადრების შერჩევის მკაცრი სისტემა, რომლის მიხედვითაც თანამშრომლების აყვანის პროცესი ეტაპებადაა დაყოფილი. ვაკანსიის გამოცხადების შემდეგ CV-ის საფუძველზე ხდება კანდიდატების შერჩევა გასაუბრებისა და ტესტირებისთვის. გასაუბრების საფუძველზე კანდიდატი ინიშნება შესაბამის პოზიციაზე გამოსაცდელი ვადით. თანამშრომლის სამსახურში აყვანა ხდება შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, რომლითაც განსაზღვრულია დასაქმებულის თანამდებობა, შრომითი ფუნქცია, უფლება-მოვალეობები, სამუშაოდან გათავისუფლების წესი, შვებულება, შრომითი ანაზღაურების ოდენობა და ყველა სხვა პირობა, რომელიც მიიღწევა მხარეთა მოლაპარაკების საფუძველზე.

თანამშრომელს მოეთხოვება იყოს პატიოსანი, ობიექტური, ყურადღებიანი, თავაზიანი და გულისხმიერი, როგორც კლიენტების, ასევე კოლეგების მიმართ. ის ვალდებულია აიცილოს

კონფლიქტური სიტუაციები და არ დაუშვას ფაქტის განზრახ დამახინჯება და არაპროფესიონალური მოქმედება.

თანამშრომლები ვალდებული არიან დაიცვან ჩაცმის საქმიანი სტილი (ატარონ უნიფორმა) და შესაბამისი გარეგნული იერი. მათ ეკრძალებათ სამსახურში გამოცხადება არაფხიზელ მდგომარეობაში, ამასთანავე ალკოჰოლის და ნარკოტიკული ნივთიერებების მიღება სამუშაო საათებში. თანამშრომელთა შორის სამუშაო ადგილზე აკრძალულია ურთიერთობები, რომლებიც სცილდება სამსახურებრივ ურთიერთობას და ეთიკის ფარგლებს.

დისციპლინური გადაცდომის შემთხვევაში კომპანიის თანამშრომლის მიმართ უფლებამოსილ პირს შეუძლია გამოიყენოს შემდეგი ზომები:

1. სიტყვიერი (ზეპირი საყვედური);
2. წერილობითი საყვედური (გაფრთხილება);
3. სასტიკი საყვედური;
4. ფინანსური სანქციები;
5. ხელშეკრულების მოშლა და სამსახურიდან გათავისუფლება;

ყველა ზემოაღნიშნული დისციპლინური პასუხისმგებლობის გამოყენება დასაბუთებული უნდა იყოს წერილობით.

ყველა ეს და სხვა დეტალები კომპანიას გაწერილი აქვს თავის შიდა განაწესში, რომელიც სრულად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შრომით კოდექსს.

უსაფრთხოება

კომპანიის ადმინისტრაცია ზრუნავს როგორც სტუმრების, ასევე და თანამშრომლების უსაფრთხოებაზე და უზრუნველყოფს საზოგადოებრივ წესრიგს. პიროვნება, რომელიც კომპლექსში რაიმე ფორმით დაარღვევს საზოგადოებრივ წესრიგს ან/და საფრთხეს შეუქმნის მოქალაქეთა უსაფრთხოებას, დაუყოვნებლივ გაძევებულ იქნება სამორინედან და ადმინისტრაცია იტოვებს უფლებას აღნიშნული პირი შემდგომში აღარ დაუშვას სამორინეში. ქმედების კანონსაწინააღმდეგო ხასიათის შემთხვევაში, განხორციელდება შესაბამისი რეაგირება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. კომპლექსის შესასვლელში მოწყობილია მიმღები, სადაც ვიზიტორი ვალდებულია კომპანიის თანამშრომელს წარუდგინოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ან მოქალაქის პასპორტი, რათა მოხდეს მისი იდენტიფიცირება საქართველოს კანონმდებლობით

დადგენილი წესის შესაბამისად. ამასთან, ადმინისტრაცია იტოვებს უფლებას სათამაშო კომპლექსში არ დაუშვას რომელიმე კონკრეტული პიროვნება.


კომპანიის ენერგოსისტემა უზრუნველყოფილია მუდმივი დენის წყაროთი. გარე პერიმეტრზე, შესასვლელში, სალაროებთან და სათამაშო დარბაზებში დამონტაჟებულია ვიდეოსათვალითვალო სისტემა და მიმდინარეობს ვიდეოჩაწერა. ჩანაწერები ინახება კომპიუტერულ ბაზებში.

ორგანიზაციამ შეიმუშავა საგანგებო მზადყოფნის დეტალური გეგმა, რათა დავიცვათ ჩვენი სტუმრები და თანამშრომლები სხვადასხვა საგანგებო სიტუაციის დროს. კომპანიას ასევე დანერგილი აქვს დაცვის განსაკუთრებული სისტემა, რაც ხელს უშლის სხვადასხვა სახის დარღვევას და გამორიცხავს თაღლითობის რისკს.


ფინანსური მაჩვენებლები



შპს „სანშაინ“ შემოსავალს იღებს სამი ტიპის საქმიანობით: სამორინე, სათამაშო აპარატების სალონი და ბარ-რესტორანი. 2024 წელს მიღებული შემოსავლების პროცენტული გადანაწილების და სხვა ფინანსური მაჩვენებლების შესახებ ინფორმაცია ასახულია დიაგრამებში:


2024 წლის შემოსავლის გადანაწილება



შემოსავალი სათამაშო მაგიდეებიდან








დირექტორი:

წმინდა მოგება



დირექტორი:

